
URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=34485>

ავტორი: შაგილიონი

ქანრი: პოეზია

გამოქვეყნების დრო: 2010-07-21 22:29:03

გახედეთ... ალაზნის ველი...

გახედეთ, ალაზნის ველი
რა ფერებს წაუღეკავსო!
სამოთხის მადლი გადასდის
ნათათრალს და ნალეკარსო!
ოქროს ხოხობი მოგოგავს,
მეცის გუმბათი რეკავსო,
დაბლა შუქვერცხლი ციმციმებს,
მაღლა მშეკაბა ცეკვავსო,
ზვარში მტეფნები სკლებიან,
მთას ლოყა ეწვის დეკასო,
ზვავები დაზავებიან
ჩაღმით ჩამავალ კლდეკარსო..
კავკასიონის სიმადლეს
გული ცად აუტყორცნია,
მაღლს აფრქვევს დიდი ტაძარი,
მთელ ღამეს რომ ულოცია,
სულ უფლის ხელებს უძერწავს,
რაც მთა-ველი და ბორცვია,
რასაც კი მზერა მისწვდება,
რაც ცრემლით დაგვიკოცნია,
ხელერთიანად წინაპრის
სისხლ და ოფლშენახოცია.
ყური მიაპყარ მიწის ხმას,
ეს ჩემი გული ხმიანობს,
ბევრჯერ მიგანეს, შენს კალთას
დამაკლეს დედავ, ღვთიანო,
მაინც არ მოვკვდი, აქა ვარ,
მაინც პირვლიმილიანობ,
ქელს ჯვარცმა მაწევს, უფლისკენ
გოლგოთით უნდა ვიარო.

წუხელ ქეთევან დედოფალს
თვალი არ მიუღუღია,
გრემიდან ალავერდამდე
მუხლჩაუხრელად უვლია,
გზად მოწ-ალმასებს აფენდა,
თათრის ნაშანთი წყლულია,
თან ახლდნენ ანგელოზები,
გალობდნენ: "ალილუია!"
გზას უნათებდა დედოფალს

სხივი ზეციურ სარკმელთა,
დამანთულ სხეულს სურნელი
სცემდა სამოთხის საკმელთა.